საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, წარმოგიდგენთ სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში 2018 წლის I კვარტალში (01.01.2018 – 31.03.2018) სასამართლო საქმეებთან დაკავშირებით კონსოლიდირებულ მონაცემებს და მათ შედარებას წინა კვარტლებთან/წლებთან:

1. ზოგადი სტატისტიკური მონაცემები უწყებების (სამინისტროს ცენტრალური აპარატი და მის სისტემაში შემავალი სსიპ-ები) მხრიდან 2018 წლის I კვარტალში წარმოებულ სასამართლო საქმეების თაობაზე:

უწყება	საქმეთა რაოდენობა	შენიშვნა
სამინისტრო	40	ერთი და იგივე საქმე შეიძლება ასახული იყოს სხვადასხვა უწყების რაოდენობაში, მხარეების ჩართულობის გათვალისწინებით
სოც.მომსახურების სააგენტო	631	
რეგულირება	221	
ტრეფიკინგის ფონდი	28	
NCDC	5	
გადაუდებელი დახმარების ცენტრი	1	



2. სასამართლო საქმეების რაოდენობა 2015/2016 /2017/2018 წლის კვარტლების შესაბამისად:

უწყება	2015 წელი				2016 წელი				2017 წელი				2018 წელი
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV	I
	კვარტალი				კვარტალი				კვარტალი				კვარტალი
სამინისტრო	34	31	41	41	42	55	60	58	44	50	49	43	40
სოც. მომსახურების სააგენტო	670	493	450	566	486	436	357	797	476	471	991	732	631
რეგულირება	131	137	220	260	174	232	201	119	130	249	281	300	221
ტრეფიკინგი	6	5	5	11	15	14	16	12	13	15	20	13	28
NCDC	4	3	3	12	3	3	4	3	2	5	6	6	5
გადაუდებელი დახმარების ცენტრი	0	1	2	2	6	6	6	7	5	8	10	6	1



3. 2018 წლის I კვარტალში სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ წარმოებული საქმეები, თემატიკის გათვალისწინებით:

უწყება	**თემატიკა**	**რაოდენობა 2018 წლის I კვარტალი**
სოციალური მომსახურების სააგენტო	პენსია, დახმარება, სხვა სოციალური გასაცემელი	87
	მხარდაჭერის მიმღებად ცნობა და მხარდამჭერის დანიშვნა	356
	შვილად აყვანა, მშობლის უფლების შეზღუდვა, შვილთან ურთიერთობის წესის განსაზღვრა, ალიმენტის დაკისრება, სხვა მსგავსი ურთიერთობები	158
	სხვა	30
	ჯამი	**631**



4. 2018 წლის I კვარტალში სსიპ „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ მიერ წარმოებული საქმეები, თემატიკის გათვალისწინებით:

უწყება	თემატიკა	რაოდენობა 2018 წლის I კვარტალი
რეგულირების სააგენტო	წამალი და ფარმაცევტული საქმიანობა	151
	სალიცენზიო/სანებართვო პირობების დარღვევა	8
	მაღალი რისკი	6
	უკანონო საექიმო საქმიანობა	1
	შუამდგომლობა მეწარმის საქმიანობის შემოწმებაზე	27
	სხვა	28
	ჯამი	**221**



5. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალური აპარატი - ახალი საქმეების რაოდენობა 2013-2018 წწ.

სამინისტროს ცენტრალური აპარატი	**ახალი საქმეების რაოდენობა 2013 წ.**	**ახალი საქმეების რაოდენობა 2014 წ.**	**ახალი საქმეების რაოდენობა 2015 წ.**	**ახალი საქმეების რაოდენობა 2016 წ.**	**ახალი საქმეების რაოდენობა 2017 წ.**	**ახალი საქმეების რაოდენობა 2018 წ.**
იანვარი	2	6	4	2	0	0
თებერვალი	1	0	4	5	1	2
მარტი	2	1	2	4	0	1
აპრილი	4	2	3	4	1	
მაისი	2	4	0	6	5	
ივნისი	1	1	1	9	5	
ივლისი	1	6	5	4	0	
აგვისტო	4	3	8	2	0	
სექტემბერი	4	4	0	5	4	
ოქტომბერი	4	5	4	0	1	
ნოემბერი	6	4	2	4	0	
დეკემბერი	6	5	3	3	3	
ჯამი	**37**	**41**	**36**	**48**	**20**	**3**

ზემოაღნიშნულთან ერთად, შევნიშნავთ, რომ როგორც პირველ სლაიდშიც აღინიშნა, სამინისტროს ცენტრალური აპარატის წარმოებაში 2018 წლის I კვარტლის პერიოდში (იანვარი, თებერვალი, მარტი) სულ იყო 40 საქმე (მიმდინარე და ახალი).

40 საქმიდან სასამართლოს შესაბამის ინსტანციებში დასრულებულია 12 საქმე, ხოლო მიმდინარე დარჩა 28, ამასთან:

ა) 12 საქმიდან:

- 10 საქმე (სახელშეკრულებო დავები, რეფერალური კომისია, სოციალურ მომსახურების სააგენტოსთან ერთად - სოციალური დავები) დასრულდა სამინისტროს სასარგებლოდ;

- 2 საქმე (სახელფასო) დასრულდა სამინისტროს წინააღმდეგ;

ბ) მიმდინარე 28 საქმიდან - 26 საქმეში წარმოვადგენთ სამინისტროს, 3 საქმეში საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის N331 დადგენილებით შექმნილ „რეფერალურ კომისიას“.

გარდა ზემოაღნიშნული საქმეებისა სამინისტროს ჩართულობით/მისი ინტერესის სფეროსთან დაკავშირებით მიმდინარეობს შემდეგი საკონსტიტუციო სამართალწარმოებები:

ა) მოქალაქეების -ზურაბ იჩქიტიძის, ილია ჭუმბაძის, ხათუნა გრიგალაშვილის, გიორგი მამუკელაშვილის, თეონა კახიანისა და ნათია კახაძე საკონსტიტუციო სარჩელი - მოთხოვნილია „იმ ქვეყნების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელთა მიერ გაცემული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო მოწმობით მის მფლობელს უფლება აქვს, საქართველოში განახორციელოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა შესაბამის სპეციალობაში

(სპეციალობებში) სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე და იმ ქვეყნების ნუსხის, რომელთა დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის პროგრამა შეესაბამება სამინისტროს მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 28 ივნისის №01-42/ნ ბრძანებით დამტკიცებული (დანართი -2) - ის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ნორმატიული შინაარსის -- „იმ შემთხვევაში, როცა უცხოეთში მიღებული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) ხანგრძლივობა ნაკლებია საქართველოში მოქმედ შესაბამისი საექიმო სპეციალობის სარეზიდენტო პროგრამის ხანგრძლივობაზე და/ან პირს უცხოეთში დიპლომისშემდგომი განათლება (პროფესიული მზადება) მიღებული აქვს კლინიკური ასპირანტურის ან კლინიკური ორდინატურის ფორმატში, სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდაზე დაშვების მიზნით, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვალდებულების გარდა, ასევე, აუცილებელია, საექიმო სპეციალობის მაძიებლის მოწმობის ფლობა, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესის მიხედვით“ - ანტიკონსტიტუციურად ცნობა.

ბ) 4 საქმეზე სამინისტრო თანამოპასუხეა სხვა ორგანოებთან ერთად, კერძოდ:

ბ.ა) საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციური სარჩელი - საქართველოს პარლამენტის და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ; აღნიშნული სარჩელით მოთხოვნილია იმ წესის ძალადაკარგულად ცნობა, რომლითაც პოლიციელებს უფლება აქვთ მოქალაქის ნარკოტიკულ საშუალების მოხმარებაზე შესამოწმებლად გადაყვანის უფლება;

ბ.ბ) ვლადიმერ ჩიტაიას კონსტიტუციური სარჩელი - საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, აღნიშნულ საქმეზე სადაოდ იყო გამხდარი „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში და აღნიშნული კანონის საფუძველზე მინისტრის მიერ გამოცემულ კანონქვემდებარე აქტებში მითითებული ტერმინის - „მუდმივი საცხოვრებელი ადგილის“ ძალადაკარგულად ცნობა (დასრულებულია საქმის არსებითი განხილვა და ველოდებით გადაწყვეტილებას);

ბ.გ) ლაშა ჩალაძის, მარიკა თოდუასა და გივი კაპანაძის საკონსტიტუციო სარჩელი - საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. აღნიშნული სარჩელით მოთხოვნილია იმ წესის და საკანონმდებლო ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლითაც მამაკაცებს არ ეძლევათ ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულება;

ბ.დ) მოქ.: თამარ თანდაშვილის საკონსტიტუციო სარჩელი - საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. მოთხოვნილია იმ ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობა, რომლითაც სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში შეჭრილ პირებს ეზღუდებათ სოციალურად დაუცველ ოჯახთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის უფლება. დასრულდა არსებითი განხილვა და ველოდებით გადაწყვეტილებას.

ასევე, საკონსტიტუციო სასამართლოში სამინისტროს კომპეტენციის სფეროსთან დაკავშირებით წარდგენილია 2 საკონსტიტუციო სარჩელი, კერძოდ:

1. იზოლდა რჩეულიშვილის საკონსტიტუციო სარჩელით მოთხოვნილია - ,,შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,დახმარება შეიძლება დაენიშნოს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც დასაქმებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ და ლიკვიდირებულ საწარმოში (უფლებამონაცვლე არ ჰყავს)“ არაკონსტიტუციურად ცნობა.

2. მანილა ზინოვას საკონსტიტუციო სარჩელით მოთხოვნილია - ,,შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებაში მითითებული იმ ნორმების ძალადაკარგულად ცნობა, რომლითაც დახმარებას იღებენ მხოლოდ საქნახშირში და ჭიათურმანგანუმში შრომითი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვლილი თანამშრომლის ოჯახის წევრები, როგორც მარჩენალდაკარგულები, ხოლო სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტში შრომითი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვლილი თანამშრომლის ოჯახის წევრები აღნიშნულ დახმარებას ვერ იღებენ.

ზემოაღნიშნულ ორ საქმეში სამინისტრო შესაძლებელია ჩაებას, როგორც მოპასუხის, ისე საქართველოს მთავრობის წარმომადგენლად.

სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მხრიდან სასამართლო პროცესებთან დაკავშირებულ ყოველკვირეული და ყოველკვარტალური ინფორმაციის დამუშავება და წარმოდგენა კვლავაც განხორციელდება „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით ინფორმაციის დამუშავებისა და ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 2 აპრილის N01–77/ო ბრძანების შესაბამისად და ფარგლებში.